საპარტნიორო ფონდი

№ 02/2-351
14.11.19

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს
ქალბატონ თამარ გაბუნიას

ასლი: შპს „კლინიკების განვითარების კომპანიას"

ქალბატონო თამარ,

თქვენი #01/19327 14.11.2019 წერილის პასუხად, გაცნობებთ შემდეგს:

ჩვენი ინფორმაციით წერილით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით თქვენი უწყების წარმომადგენლები არაერთხელ დაუკავშირდნენ როგორც კლინიკებს, ისე „კლინიკების განვითარების კომპანიას". შესაბამისად საჯარო ინფორმაციები დაუყოვნებლივ იქნა გადაცემული (სამივე კლინიკის ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებლი აუდიტორის დასკვნა მიწოდებულ იქნა თქვენი წარმომადგენლის ბექა ჯაყელის ელექტრონულ ფოსტაზე), თუმცა ისეთ ინფორმაციასთან დაკავშირებით რომელიც დაცულია გამჟღავნებისგან, მოთხოვნილ იქნა წერილობითი მომართვის გამოგზავნა. სწორედ ამიტომ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ფორმალური პროცედურის დაცვა აუცილებლი იყო, რაც როგორც ჩანს თქვენი წარმომადგენლებისთვის არ იყო ცნობილი დოკუმენტაციის მოთხოვნისას.

რაც შეეხება თქვენ მოთხოვნას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია გადმოგეცეთ წერილში მითითებული კლინიკების ხელთ არსებული ინფორმაცია კომერციული საიდუმლოების გრიფით, გარდა პერსონალური მონაცემებისა, რომელიც მოგეხსენებათ, რომ ვერ იქნება გაცემული თავად შესაბამისი პირის თანხმობის გარეშე. შესაბამისად, გთხოვთ დაიცვათ კლინიკების კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აქვე გამოვხატავთ იმედს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს განცხადება კლინიკების დაბრუნებასთან დაკავშირებით განხორციელდება უახლეს პერიოდში რაც დამატებით შესაძლებლობას მოგცემთ დეტალურად მოიძიოთ და შეისწავლოთ კლინიკებთან დაკავშირებული თქვენთვის საინტერესო ინფორმაცია. გაცნობებთ, აგრეთვე, რომ აღნიშნული პროცესის დაჩქარების მიზნით ჩვენ მივმართეთ აგრეთვე საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

პატივისცემით,

გიორგი დანელია
აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე